2023 – 2024 სასწავლო წელს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მიერ განხორციელებული აქტიობების ანგარიში

2023 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრის აქტიობები

აღიარება

2023 წლის 16 იანვარს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 101 წლის იუბილეზე სტუ-ს რექტორის ბატონ დავით გურგენიძის ინიციატივით გაწეული პედაგოგიური მოღვაწეობისთვის ოქროს მედლები გადაეცათ არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ემირიტუსს, ღვაწლმოსილ არქიტექტორს, საერთაშორისო აკადემიის წევრს, აკადემიკოსს ვახტანგ დავითაიას და პროფესორს, არქიტექტორ ოთარ ნახუცრიშვილს (აწ გასვენებული).



დაჯილდოებაზე ოქროს მედლები გადეცათ ვახტანგ დავითაიას ქალიშვილს მაია დავითაიას და ბატონ ოთარ ნახუცრიშვილის შვილიშვილს თინათინ ქევხიშვილს.

სტუ-ს 101 წლის იუბილე.

საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ განსაკუთრებული წვლილისთვის ქართული არქიტექტურის განვითარებაში 2023 წელს საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის წოდება მიენიჭათ სტუ-ს არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორებს: არქიტექტურის დოქტორს ბატონ მერაბ ბოლქვაძეს; არქიტექტურის დოქტორს, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარეს ნუგზარ ხვედელიანს.

არქიტექტურის რაინდის წოდება

2023 წელს არქიტექტურის რაინდის წოდება მიენიჭათ სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორებს, აკადემიკოსს გიული გეგლიას და პროფესორს გია ნადირაძეს.

საპატიო სიგელი

2023 წლის 22 დეკემბერს არქიტექტურის ფაკულტეტის დღესთან დაკავშირებით საპატიო სიგელები გადეცათ ემირიტუს, აკადემიკოსს ვახტანგ დავითაიას, პროფესორებს ლევან ბერიძეს და გია ნაცვლიშვილს. მადლობის სიგელები, განსაკუტრებული წვლილისთვის ახალგაზრდა პროფესიონალების ჩამოყალიბებაში გადეცათ ფაკულტეტის მოწვეულ პროფესორებს: ვ. ქობულიას, გია ნადირაძეს, თეიმურაზ ხოჯავას, გიორგი კვიწინაშვილს, ბესარიონ ტატიშვილს, ზაზა სვანაძეს, მერაბ გაგნიძეს, თამაზ დოგრაშვილს, თენგიზ გოგოლაშვილს, გიული გეგელიას, გია ყიფიანს.

სტიპენდიანტები

თამაზ ბექაიას ფონდის სტიპენდიანტები

თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდი ყოველწლიურად მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტებს გადასცემს 300 ლარის ოდენობის სტიპენდიას ერთი სემესტრის განმავლობაში.

2022 – 2023 სასწავლო წელს უმაღლესი აკადემიური მოსწრების მიხედვით თამაზ ბექაიას საგანმანატლებლო ფონდის სტიპენდიანტი გახდა გვანცა ცხადაძე.

2023 – 2024 სასწავლო წელს ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტი უჩა მჭედლიშვილი გახდა თამაზ ბექაიას საგანმანათლებლო ფონდის სტიპენდიანტი.

ხოლო ჩვენივე ფაკულტეტის პირველკურსელ ალაექსანდრე ტაბატაძეს გადაეცა ერთჯერადათ ფულადი ჯილდო, როგორც აბიტურიენტს, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების მიხედვით ჩაირიცხა უნივერსიტეტში ყველაზე მაღალი ქულებით.

2023 წლის 28 დეკემბერს არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტს ოთარ გალდავას გადეცა გიორგი ცახავას სახელობის პრემია დაწესებული საქართველოს ბანკის მიერ.

კურსდამთავრებულების წარმატება და აღიარება - საქართველოს განათლების საერთაშორისო ცენტრის სტიპენდია

სწავლის გაგრძელება უცხოეთის უნივერსიტეტებში

2023 წელს არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის კურსდამტავრებულები თეო კულჯანიშვილი და მარიკა ჯალაღონია მაგისტრატურის საფეხურზე სწავლას გააგრძელებენ რომის საპიენცას უნივერსიტეტში/ Sapienza Università di Rom.

აღსანიშნავია, რომ თეო კულჯანიშვილი გახდა საქართველოს განათლების საერთაშორისო ცენტრის 2023 – 2024 სასწავლო წლის სტიპენდიანტი. თეო სახელმწიფოს დაფინანსებით სწავლას

გააგრძელებს რომის საპიენცას უნივერსიტეტში/ Sapienza Università di Rom.

კურსდამთავრებული **მარიამ გოგოჩიშვილი** 2023 წელს სწავლას სამაგისტრო საფეხურზე გააგრძელებს მილანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ურბანული დაგეგმარების მიმართულებით.

კურსდამთავრებულების აღიარება

კონკურსი „ახალგაზრდა ტალანტი - 2023“/ EUmies Awards Yang Talent 2023.

მაგისტრანტ ანა ნაცვლიშვილის სამაგისტრო ნაშრომი „ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრი“/ Innovation and Technology Center. გაიგზავნა მის ვან დეროეს საერთაშორისო კონკურსზე: „ახალგაზრდა ტალანტი - 2023“/ EUmies Awards Yang Talent 2023.

პროექტი გაიგზავნა მაისში.

მან წარმატებით გაიარა პირველი ტური და გადავიდა კონკურსის შემდეგ ეტაპზე. აღსანიშნავია, რომ სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი პირველად იღებს მონაწილეობას ასეთ პრესტიჟულ კონკურსში.











13:15

GE01_02- PRESELECTED PROJECT - EUmies Awards YOUNG TALENT 2023 Inbox

EUmies Awards – Young... 12:33
to Arnanats21@gmail.com

Dear Ana Natsvlishvili,

It is a pleasure to inform you that your Graduation Project has been **preselected** in the first round of the jury process.

At this stage we would like to ask you to send us the 'Panel Graphic Document' that you already uploaded to our database, this time in high resolution. We will print it in a vertical DIN A2 format. Attached you can find the frame/label that we prepared with your details. Please, use this frame and insert your panel in it.

Apart from this, we are also asking for other documents you have of your project (the ones you already submitted and all additional material you like) in high resolution for us to prepare the exhibition and publication if your project results one of the shortlist, finalist or winner. These documents can be any format and you can send as many as you wish.

სტუ-ს მიეცა საშუალება კონკურსზე გაეგზავნა ორი პროექტი.

შეირჩა მაგისტრანტ ვოსკეჰატ მიკირტიჩიანის სამაგისტრო ნაშრომი: "Waste Recycling Plant and educational center in Tbilisi"

Educational center and waste recycling plant in the central part of the city. Will waste management become a means of evolution and culture formation? Humans live in a world of waste. Everything that man creates to satisfy his ever-increasing demands and to ensure existence, eventually falls into the category of waste. The goal of the project is to make visible the waste recycling process, to show that it is not a dirty process, and to remind everyone with its presence that waste is our responsibility. Author : Voskehat Mkrtchyan –

პროექტი შეგიძლიათ ნახოთ: https://www.youtube.com/watch?v=NqCzqxkuekk

არსანიშნავია, რომ მაგისტრანტების ნამუშევრები პირველად მოხვდა კატალოგშიო (166გვ) – Eumies Awards Yaung Talent 2023. Barcelona, 29 January 2024

საჯარო ლექციები ჩატარებული უცხოელი პროფესორების მიერ

საჯარო ლექცია თემაზე: "What does soviet era architecture means to the piople of Lithuanian?"

2023 წლის 23 იანვარს ორშაბათს სტუ-ს არქიტექტურის,ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის 403ც აუდიტორიაში 14 საათზე საჯარო ლექცია წაიკითხა ვილნიუსის ტექნიკური უნივარსიტეტის, არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ლიუტაუსას ნიკროსიუს
თემა: "What does soviet era architecture means to the piople of Lithuanian?"
(ლექცია ჩატარდა ინგლისურ ენაზე)



მოწვეული სტუმარი ფაკულტეტზე არსებულ არქიტექტურული პოეტიკის სტუდიას გაეცნო.

შეხვედრა საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელთან დევი ხვედელიანთან, მარიკა ზვიადაზესთან და ნინო ჟიჟილაშვილთან.

უცხოელი სტუმარი ასევე ვიზიტით ეწვია საპროექტო სტუდია „ინჟინრული აზრი“, შეხვდა პროფესორ ნინო ჩაჩავას, მალხაზ ლეკვეიშვილს და ნიკოლოზ ლეკვეიშვილს. გაეცნო მუშაობის თავისებურებას და დაიგეგმა მომავალი სამუშაო პროგრამა.



ლიტაუტას ნეკრესიუს, ნინო ჩაჩავა და ნიკოლოზ ლეკვეიშვილი

პროფესორ ლინო ბიანკოს ლექციების მეორე ციკლი!



Prof. Lino Bianco
Series of lectures

6 April, Thursday
12:00
Room: 405c

DE ARCHITECTURA: The relevance of Vitruvius in today's practice of the art and science of building

6 April, Thursday
16:00
Room: 407c

SUSTAINABLE DESIGN: Socio-economic and environmental aspects of traditional residential units

7 April, Friday
12:00
Room: 405c

DESIGNING FOR ALL: From a philosophical to an applied scientific approach

Georgian Technical University
Building 1

M· VITR
POLLIC
DE ARCHITE
LIBRI DE
AD CAESAR
AVGVSTVM,
omnibus omnium editionibus lo
collatis veteribus exer
ACCESSERVNT
Gulielmi Philandri Castilionii, ciuis R
castigatiores, & plus tertia parte lo
ADIECTA EST
Epitome in omnes Georgij Agricolæ de
ribus libros, EODEM
Cum Græco pariter & Latino indi

2023 წლის 5 აპრილს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე ვიზიტით იმყოფებოდა მალტის უნივერსიტეტის პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი ლინო ბიანკო. 2022 წლის დეკემბერს მან ჩაატარა ლექციები არქიტეტურის სხვადასხვა საკითხებზე. დეკემბრის ლექციით გამოწვეული ინტერესის გათვალისწინებით გაიმართა პროგრამის მეორე ნაწილი - ლექციების მეორე ციკლი. ლექციების სამუშაო ენა ინგლისურია. ლექციები გაიმართა შემდეგ თემებზე: 6 აპრილი - DE ARCHITECTURA: The relevance of Vitruvius in today's practice of the art and science of building და SUSTAINABLE DESIGN: Socio-economic and environmental aspects of traditional residential units; 7 აპრილი - DESIGNING FOR ALL: From a philosophical to an applied scientific approach

საჯარო ლექცია ჩატარებული უცხოელის მიერ

2023 წლის 16 ივნისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსისტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ინიციატივით ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე:

„თანამედროვე ქალაქის ისტორიულ ცენტრის მობილურობა ". ლექციას გაუძღვა გერმანელი არქიტექტორი და ტრანსპორტის სპეციალისტის ტორბენ გ. ჰაინემანის ტორბენ გ.ჰაინემანი არის მენეჯერი, მკვლევარი, პრაქტიკოსი, რომელიც წლების განმავლობაში დაკავებულია მდგრადი ურბანული ტრანსპორტის კვლევის საკითხებით.

ამ დროისთვის ის არის ქ.თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (TUDA) (CIM-IF) მოწვეული ექსპერტი;

მას სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას ჩატარებული აქვს ლექციები „ურბანული გზების დაპროექტების“ მიმართულებით, მათ შორის გერმანიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის (TUM Asia Pte Ltd) მაგისტრატურაში, სადაც მიჰყავს „ტრანსპორტი და ლოგისტიკის“ კურსი.

ის არის ქალაქ ლაიფციგის საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და გზების დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი; ლექცია ჩატარდა სამშენებლო ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში.

Urban Mobility in Historic City Centers"

Public Lecture Conducted by Torben G. Heinemann

Torben G. Heinemann is Dipl.-Ing. (FH) in architecture and Dipl.-Ing. in transport engineering.

He is a planner, manager, researcher, practitioner who works deeply in the field of urban sustainable transport. Since April 2021 he works as Integrated Expert for Traffic Planning (CIM-IF) at the Transport and Urban Development Agency (TUDA), City of Tbilisi, Georgia. He works as a Lecturer for “Urban Road Design” in the master studies “Transport, Rail and Logistics”, German Institute of Science and Technology – TUM Asia Pte Ltd, in Singapore. He worked as Head of department for Public Transport and Road Planning in the Office for Traffic Planning, City of Leipzig and as Head of department for General Planning in the Office for Traffic Planning and Road Construction, City of Leipzig.

საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა

თბილისის არქიტექტურული კვირეული TAW

2023 წლის 1-4 თებერვალს ქ. თბილისში გაიმართა არქიტექტურული კვირეული - TAW. არქიტექტურული კვირეული (TAW) ითვალისწინებს თბილისში უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანას და ადგილობრივ პროფესიონალებთან ერთად სტუტენდებისა და ქართველი ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის სხვადასხვა აქტივობების გამართვას, რომლებიც დაკავშირებული იქნება თემებთან როგორებიცაა: არქიტექტურა, ურბანისტიკა, კულტურული მემკვიდრეობა, რესტავრაცია-კონსერვაცია, ურბანული ჯანმრთელობა და დარგობრივი ინოვაციური თემები.

პროექტის მიზანია: -საქართველოში ცოდნის მასშტაბების გაზრდა არქიტექტურის სხვადასხვა მიმართულებებსა და თანამედროვე მიდგომებში. -პროექტის მეშვეობით ქართველი ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო პლატფორმის შექმნა, რომელიც მათ შესაძლებლობას მისცემს ეზიარონ ქართველი და უცხოელი სპეციალისების გამოცდილებას.

-ახალგაზრდებს შესაძლებლობა მიეცემათ, რომ განავითარონ თავიანთი უნარები და მონაწილეობა მიიღონ კვირეულის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებში, როგორებიც იქნება: სამეცნიერო კონფერენცია, გამოფენა, პანელური დისკუსიები, ლექციები და სამუშაო შეხვედრები (workshops). კვირეულის პერიოდში დაგეგმილ ლექციებსა და სამუშაო შეხვედრებში (workshops) მონაწილეობის მიღება შეუძლიათ არქიტექტურის, ურბანისტიკის, დიზაინის, რესტავრაციის/ ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სტუდენტებს.

არქიტექტურული კვირეულის ღონისძიებებში ჩართულნი იყვნენ სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის, ასევე დიზაინის საერთაშორისო სკოლის სტუდენტებიც. კვირეულის დასასრულს, სამუშაო შეხვედრაში მონაწილე ყველა სტუდენტს სერთიფიკატები გადეცათ. მათ შორის იყო, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მეორე კურსის მაგისტრანტი თეონა გეგეშიძე. როგორც თეონა გეგეშიძემ ღონისძიების დასასრულს აღნიშნა, არქიტექტურულმა კვირეულმა მომავალ არქიტექტორებს განსაკუთრებული ხედვით დაანახა ის მოვალეობები და პასუხისმგებლობა, რაც პროფესიონალ არქიტექტორს ადამიანის, ქალაქისა და ქვეყნის წინაშე უნდა გააჩნდეს.

„მაშინ, როდესაც არქიტექტურა მასშტაბურად მოიაზრებს ადამიანის მენტალურ, ფიზიკურ და სულიერ ჯანმრთელობას, ქვეყნის სწორი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით ევროპის გამოცდილების გაზიარება. თბილისის არქიტექტურული კვირეულის ფორმატი უნიკალურ საშუალებას აძლევს სტუდენტებს პირისპირ დაუსვან კითხვები ევროპის ერთ-ერთი წამყვანი (მილანის პოლიტექნიკური) უნივერსიტეტის ურბანისტიკის, რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის და სხვა მნიშვნელოვანი დარგების სპეციალისტებსა და პროფესორებს, გაიზიარონ მათი გამოცდილებები და წარმატებული პროექტების მთავარი მიგნებები. მიღებული ცოდნით კი, პრაქტიკული სამუშაოს სახით, თბილისის პრობლემური უბნების გაჯანსაღების პროცესში მიიღონ მონაწილეობა. - აღნიშნა თეონა გეგეშიძემ.

თბილისის არქიტექტურის კვირეულის მნიშვნელობაზე ისაუბრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ნინო იმნაძემაც:

„თბილისის არქიტექტურის კვირეული მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტეტურული სკოლა მსოფლიოს ათეულში შედის და იტალიაშიც, საკმაოდ პრესტიჟული ინსტიტუტია, როდესაც ასეთი პრესტიჟული ინსტიტუტის პროფესორები საქართველოში ჩამოდიან და ქართველ სტუდენტებს ლექციებს უკითხავენ, ნამდვილად მნიშვნელოვანი ფაქტია. უნდა აღვნიშნო, რომ თავად თემატიკა იყო საინტერესო და აქტუალური, მრავალ სიახლეს მოიცავდა - საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულება, ურბანული გარემოს შენარჩუნება, დაცვა და გაჯანსაღება, კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია. საინტერესო იყო იმ გამოცდილების გაზიარებაც, რაც მილანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს აქვს. კვირეულის ფარგლებში, ჩვენმა სტუდენტებმა გამოავლინეს მაქსიმალური ცოდნა, დაკვირვება და ანალიზის უნარი, ასევე მიიღეს დიდი გამოცდილება.“

არქიტექტურული კვირეულის ორგანიზატორი სტუ-ის დიზაინის საერთაშორისო სკოლის კურსდამთავრებული, მარიამ ბოჭორიშვილი იყო, რომელმაც სამაგისტრო პროგრამა მილანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაიარა.

„ქართველი სტუდენტებისთვის გაჩნდა ახალი შესაძლებლობები, რომლებიც მათ პროფესიულ განვითარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ. გაიზარდა ცოდნის მასშტაბები ისეთ თემებზე როგორებიცაა: არქიტექტურა, ურბანისტიკა, კულტურული მემკვიდრეობა, რესტავრაცია-კონსერვაცია, ურბანული ჯანმრთელობა და დარგობრივი ინოვაციური თემები. პირველებმა დავიწყეთ საუბარი ისეთ თემებზე, როგორიცაა: სამედიცინო არქიტექტურა, არქიტექტორების, ურბანისტებისა და მედიკოსების თანამშრომლობის აუცილებლობასა და დანიშნულებაზე. გაერთიანდნენ თბილისის მასშტაბით არსებული უნივერსიტეტების სტუდენტები, რომლებსაც საერთო ინტერესები და მიზნები აკავშირებთ. მივიღეთ მთავარი შედეგი- სტუდენტებმა მიიღეს ძალიან ფასეული პროფესიული გამოცდილება“ - აღნიშნა მარიამ ბოჭორიშვილმა.

თბილისის არქიტექტურული კვირეული (TAW) გაიმართა ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მხარდაჭერითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით. პროექტის პარტნიორები იყვნენ: Erasmus + Politecnico di Milano; საქართველოს არქიტექტორთა კავშირი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; იტალიის საელჩო საქართველოში; დანტეს თბილისის კომიტეტი და სხვადასხვა ქართული კომპანია.

მასტერკლასი ნორა ლომბარდინისთან ერთად.



ვიზიტი საპროექტო ტერიტორიაზე: თბილისის არქეოლოგიური მუზეუმი

მუშაობის პროცესი

დასკვნითი ვორქშოფი და მასტერკლასი: მოდერატორები მარიამ ბოჭორიშვილი და ოთარ თუხარელი



პროექტი: „ოზურგეთის ახალი სიცოცხლე“

2023 წლის 11 თებერვალ ოზურგეთის ახალი სიცოცხლის პროექტების განხილვის პირველი ეტაპი. პროექტზე მუშაობა დაიწყო 2022 წლის 1 ოქტომბერს.

2023 წლის 15 ივნისს ქ. ოზურგეთის მერის და მისი გუნდის მიერ ინიცირებული პროექტის „ოზურგეთის ახალი სიცოცხლე 2022“

არქიტექტურული პორექტების გამოფენა გაიხსნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანებაში. პროექტი გულისხმობს საბჭოთა კავშირის პერიოდში აშენებული მრავალსართულიანი და ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციას. პროექტები შექმნეს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა ბესარიონ ტატიშვილის და ნინო იმნაძის ხელმძღვანელობით. პროექტში ასევე ჩართულები იყვნენ ქეთევან სალუქვაძე და ნინო გობეჯიშვილი.

გამოფენაზე ავთანდილ თალაკვაძემ მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და პროფესორ-მასწავლებლებს. განსაკუთრებული კი ჩვენს წარმატებულ სტუდენტებს საინტერესო ნამუშევრებისთვის, სადაც არაერთი შთამბეჭდავი პროექტი იყო წარმოდგენილი: #ერთად განვაახლოთ #ოზურგეთი.

[წარმოგიდგენთ ფოტო რეპორტაჟს გამოფენიდან, რომელიც ოზურგეთის მუზეუმში გამოიფინა. გამოფენა გაგრძელდა ერთი კვირა.]

პროექტი - არქიგრაფია

2023 წლის 8-17 მაისი

„არქიგრაფია - კალიგრაფია არქიტექტურაში“

„ხელნაწერი სულიერი ცნებაა, მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური ხელსაწყოს საშუალებით იქმნება“.

ევკლიდე

ძნელია არ დავეთანხმოთ „გეომეტრიის მამად“ აღიარებულ ალექსანდრიელ მოაზროვნეს - კალიგრაფია ნამდვილად არის სულის დიზაინი, განსაკუთრებით ხელოვნებასა და არქიტექტურაში.

ერთი შეხედვით, კალიგრაფია და არქიტექტურა ორი განსხვავებული ხელოვნების ფორმაა, თუმცაღა კალიგრაფია, როგორც ფიქრის, იდეის გამოხატვის უმაღლესი ფორმა, სივრცისა და ხაზების კომპოზიციური შერწყმის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია არაერთ ცივილიზაციაში იქცა არქიტექტურულ ფორმებად. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი არის არაბული (ისლამური არქიტექტურა), ჩინური და დასავლური ცივილიზაციები.

XXI საუკუნეში კალიგრაფია იქცა ხელოვნებისა და დიზაინის არაერთი მიმართულების შთაგონების წყაროდ. ალბათ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში, ქვეყანაში, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი კალიგრაფიული ტრადიცია აქვს, ამ ხელოვნების შტრიხები, მიგნებები და ესთეტიკა თანამედროვე არქიტექტურის სრულიად უნიკალურ მიგნებად იქცეს!

თქვენთან, ახალი თაობის არქიტექტორებთან ერთად სრულიად ახალი მიმართულება შეიძლება დაიბადოს არქიტექტურისა და დიზაინის სამყაროში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურისა და დიზაინის ფაკულტეტი და საქართველოს კალიგრაფთა ასოციაცია უნიკალურ პროექტსა და კონკურსს გთავაზობთ:



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი და საქართველოს კალიგრაფთა ასოციაცია უნიკალურ პროექტსა და კონკურსს გთავაზობთ.

პროექტი გულისხმობს კალიგრაფიის ხელოვნების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის, ესთეტიკისა და ხაზების შეტანას თანამედროვე ქართულ არქიტექტურასა და დიზაინში.

პროექტი მოიცავს არაერთ აქტივობას:

- საავტორო მასტერკლასები
- კალიგრაფიის კონკურსი

- თანამედროვე ქართული კალიგრაფიის ოთხი გამორჩეული ხელოვანის საავტორო პერფპრმანსი:

საავტორო პერფორმანსებისა და მასტერკლასების განრიგი:
08 მაისი - გიორგი გორგიაშვილი
10 მაისი - გიორგი სისაური
11მაისი - ლეილა ბაღბაია
17 მაისი - დავით მაისურაძე

კალიგრაფიის კონკურსი არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის!
17-27 მაისი - კალიგრაფიული ნამუშევრების შექმნა
2 ივნისს პროექტი შეჯამდება ფინალისტი მონაწილეების კალიგრაფიული ნამუშევრების გამოფენით.

ERASMUS + მობილობა პედაგოგეგბის

2023 წელს Erasmus + აკადემიური პერსონალის მობილობის გაცვლითი პროექტის ფარგლებში მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე იმყოფებოდა პროფესორი ნინო იმნაძე.

ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრა იმ სტუდენტებტან რომლებიც 2022 – 2023 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში Erasmus + სტუდენტთა მობილობის პროგრამით სწავლობენ მილანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: ანანო გობეჯიშვილი (დოქტორანტურა), ნინი პატარკაცისვილი, ანა უგულავა, მარიამ მესტვირიშვილი

სტუდენტების აქტიობა საერთაშორისო კონკურსებში

2023 წლის გაზაფხულზე ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტმა პირადი ინიციატივით მონაწილეობა მიიღო კონკურსში: 120 hours competition

კონკურსი 120 საათის კონკრსი/„120 hours competition“, წელიწადში ერთხელ ტარდება ნორვეგიაში უკვე 10 წელზე მეტია და მთავარი მიზანია 5 დღეში მოცემულ თემაზე შეიქმნას ნაშრომი-ნააზრევი. მაგალითად, წლევანდელ წელს უნდა წარმოგვეჩინა ნაგებობის ბიოგრაფია 4 სურათში და თან მდგრად განვითარებასთან უნდა ყოფილიყო კავშირში.

კონკურსში მონაწილეობა მიიღო მე-3 კურსის სტუდენტმა სანდრო ქენქაძემ. მან თავის ნამუშევარში დააკავშირა სიკვდილი და რეინკარნაცია, რაც მან დაინახა აღმოსავლურ კუტურაში და დააპირისპირა დასავლურ მარადისობასთან.

კონკურსის გვერდი: https://www.120hours.no/

„არქიტექტურული იდეების კონკურსი“ - ეზოს რეაბილიტაცია დევნილთა დასახლებაში.

2023 წლის 8 ნოემბრიდან 2023 წლის 8 დეკემბრამდე.

კონკურსი ჩატარდა გერმანიის თანამშრომლობით GIZ , მიზნად ისახავს ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ბაქოს ქ. 1-3 -ში დევნილთა დასახლებაში არსებული ეზოს განახლებას.

კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტებმა: მარიამ პარკაულმა, ეკატერინე გაგნიძემ, ხატია ნაყეურმა, დავით ამყოლაძემ და ლევან აგაბაშვილმა.

გამოფენები

არქიტექტურული პროექტების გამოფენა: „ვირტუაური სივრცის ალტერნატივა“

2023 წლის 20 თებერვალს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინიის ფაკულტეტზე გაიხსნა გამოფენა: **„ვირტუალური სივრცის ალტერნატივა“.** გამოფენაზე წარმოდგენილია ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტთა ნამუშევრები, რომელებიც შესარულებულია ხელით. მიზანი გამოფენისა არის იმ სტუდენტების შესაძლებლობების წარმოჩენა და მოტივაციის ამაღლება, რომლებიც მუშაობენ ხელით და არქიტექტურულ გრაფიკაში წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს. იდეის ავტორები და ორგანიზატორები: ნინო იმნაძე, მარიკა ფოცხუა, დათო ბოსტანაშვილი, ნათია ქოჩლაძე და შოთა გელაშვილი. გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს პედაგოგეგბის: მერაბ გუჯაბიძის,

თამაზ დოგრაშვილის, ზაზა სვანაძის, მარიკა ფოჩხუას, დავით ბოსტანაშვილის, ვასილ ქობულიას და ნინო იმნაძის სტუდენტებმა. სტუდენტების მიერ წარმოდგენილი იყო სხვადასხვა თემატიკის პროექტები: საგამოფენო პავილიონი, ფერმერის საცხოვრებელი სახლი, სოფლის ცენტრი და სხვა.



ფოტო რეპორტაჟი გამოფენიდან

„არქიტექტურული კომპოზიცია“ - გამოფენა გალერეა უნივერსში

2023 წლის 12 აპრილი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე, საბაკალავრო პროგრამის - არქიტექტურა - არქიტექტურული კომპოზიცის სასწავლო კურსის ფარგლებში, სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი მოეწყო. გამოფენა-კონკურსზე - „არქიტექტურული კომპოზიცია“, რომელიც გალერეა „უნივერსში“ ჩატარდა, წარმოდგენილი იყო 80 ნამუშევარი. ნამუშევრები შიდა კონკურსის საფუძველზე შეირჩა. „გამოფენა-კონკურსზე წარმოდგენილი ნამუშევრები არის დავალების პირველი ეტაპი. აბსტრაგირებული ფორმის პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს შევთავაზეთ გეომეტრიული ფიგურებისგან - სამკუთხედი, წრე და ოთხკუთხედი, შეექმნათ არიტექტურული კომპოზიცია. მივეცით საშუალება თავად შეერჩიათ ფერები. ფერებში გადატანილი ფიგურები მაკეტის სახეს იღებს და ასე კეთდება მოცულობითი სივრცის კომპოზიცია. დავალების შესრულებაში ჩართული იყო სტუდენტების რვა ჯგუფი, ჯგუფში 25 სტუდენტია. დავალების დასრულების შემდეგ, სტუდენტები შიდა კონკურსს ატარებენ და თავად არჩევენ გამოფენაზე წარსადგენ საუკეთესო ნამუშევარს“, - განაცხადა მარინა მაისურაძემ. გამოფენა-კონკურსზე წარმოდგენილი იყო მოცულობითი სივრცითი კომპოზიცია, რომლის შემდეგი ეტაპი, შემდეგი დავალება უკვე არის კომპოზიცია „აბსტრაქციიდან რეალობამდე“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი პირველკურსელებისათვის გამოფენა-კონკურსს ტრადიციულად ყოველწლიურად აწყობს. როგორც მარინა მაისურაძე აცხადებს, მსგავსი ღონისძიება მომავალი არქიტექტორებისთვი სტიმულის მიმცემია და რაც მთავარია, მათ პროფესიონალებად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პირველკურსელმა ზურაბ გოგოლაძემ, გამოფენა-კონკურსზე წარმოადგინა შინდისფერ, შავ და თეთრ ფერებში სამი გეომერტიული ფიგურისაგან აწყობილი კომპოზიცია.

„პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ დავალება - „არქიტექტურული კომპოზიცია“, ძალიან მომეწონა. ეს არის ჩემთვის საკუთარი შესაძლებლობლების გამოვლენის საუკეთესო საშუალება. სასიხარულოა, რომ თანაკურსელებმა, შიდა კონკურსში, ჩემი ნამუშევარიც აირჩიეს იმ 80

ნამუშევრიდან, რომელიც წარმოდგენილია გამოფენაზე. ორმაგად სასიხარულოა, რომ მათი არჩევანი ჩვენი ლექტორების არჩევანს დაემთხვა. დავალების შესრულებისას ძალიან ბევრი ვარიანტი და ფერები წარმოვიდგინე. ბევრი ვიმუშავე და საბოლოო ჯამში გადავწყვიტე შავი, თეთრი და შინდისფერი ფერებით ამეწყო კომპოზიცია. გამოფენა-კონკურსი 9 აპრილის და საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან რამდენიმე დღეში ტარდებოდა, ამიტომ ჩემი კომპოზიცია ერთგვარ სიმბოლოდ შეიძლება აღიქვას მნახველმა. მინდოდა შემექმნა კომპოზიცია, რომელსაც მრავალმხრივ აღსაქმელი იქნებოდა და ვფიქრობ, მიზანს მივაღწიე“, - განაცხადა ზურაბ გოგოლაძემ.

გამოფენა-კონკურსის დასასრულ, ორგანიზატორებმა პირველკურსელებს სიგელები გადასცეს.

გამოფენა მოდის დიზაინის ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების გამოფენა

2023 წლის 15 ივნისს გალერეა უნივერსში.

გამოფენა „მრავალფუნქციური მაღლივი შენობის დაპროექტება“

2023 წლის 17 ივნისს ფაკულტეტზე მოეწყო პედაგოგეგბის გია ნადირაძის და თეიმურაზ ხოჯავას მაგისტრანტების პროექტების გამოფენა თემა: მაღლივი შენობა ურბანულ გარემოში.



ვიზუალიზაცია
ფასადები
ფოტოფიქსაცია
იზომეტრიული ვიზუალიზაცია

ფუნქციური ზონირება
ბრავალ-ფუნქციური მაღლივი შენობა
+5 სართულზე ბაბა
+12.30 ჩრდილი
1:500


მრავალფუნქციური
მაღლივი შენობა



სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია: „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“

2023 წლის 22 ივლისს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიირეს როგორც ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა ასევე მოწვეულმა სპეციალისტებმა და დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებმა.

კონფერენციაზე განხილული იქნა ისეთი აქტუალური თემები, როგორიცაა: ჭავჭავაძის გამზირის ერთი მონაკვეთის სახეცვლილების შესახებ/About the face change of one section of Chavchavadze Avenue- მომხსენებელი პროფესორი მაია ძიძიგური; მდინარეების მნიშვნელობა საპორტო ქალაქების განვითარებაში/The importance of rivers in the development of port cities - მომხსენებლები ნინო ჩაჩავა და ლალი გერსამია; ქალაქების კორეკონსტრუქციის შესახებ/About eco-reconstruction of cities პროფესორი გიორგი სალუქვაძე; თბილისური სახლების ინოვაციური მოდულის როლი რეგულირების ზონის ქალაქგეგმარებით ქსოვილში./The role of innovative module of Tbilisi houses in urban planning fabric of regulation zone. პროფ. მედეა მელქაძე; მშენებლობის ნებართვის მოპოვების პროცედურები ევროპის ქვეყნებში/Procedures for obtaining building permits in European countries დოქტორანტი-ნინო ქობულაძე; UNESCO-ს ძირითად და საცდელ სიებში

მყოფი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების დოკუმენტაციის ანალიზი და მისი სრულყოფა-შევსების წინადადებები/Analysis of the documentation of the immovable monuments of cultural heritage of Georgia included in the main and tentative lists of UNESCO and proposals for its improvement პროფესორი - ლადო ვარდოსანიძე,აკადემიური დოქტორი - თამარ ხოშტარია; ზოგიერთი მოსაზრება "საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმის" შემუშავებასთან დაკავშირებით/Some opinions regarding the development of "Georgia's Spatial Planning Plan". პროფესორი - ლადო ვარდოსანიძე; ბაღები და ტურიზმი. თანამედროვე გამოწვევები/Gardens and Tourism. New Challenges - ლანდშაფტის არქიტექტორი - გუდრუნ ნაჰრენდორფი. გერმანია/Landscape architect - Gudrun Nahrendorf. Germany; ხმაური ქალაქში და მასთან ბრძოლა/Noise in the city and fight with it პროფ. ლევან ბერიძე, Professor Levan Beridze, ასოც. პროფ. გია ბერიძე/Assoc. Prof. Gia Beridze; საჯარო ურბანული სივრცეების ტრანსფორმაციის როლი მსხვილი ქალაქების სეისმური რისკის შემცირებაში ქ. თბილისის მაგალითზე/The role of the transformation of vacant urban spaces in reducing the seismic risk of large cities on the example of Tbilisi დოქტორანტი- ნინო თავდუმაძე; ციფრული ორეულების მნიშვნელობა კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტაციის სფეროში/The importance of Digital Twins in Cultural Heritage documentation Field პროფ. ნინო ჩაჩავა - დოქტორანტი-ნიკოლოზ ლეკვეიშვილი, ხელმძღვანელი პროფ. -ნინო ჩაჩავა, მალხაზ ლეკვეიშვილი - არქიტექტორი. ააიპ ინჟინრული აზრის „ დირექტორი;გიორგი მიქაძე - სამხატვრიო აკადემიის, რეკონსტრუქციის ფაკულტეტის მაგისტრანტი, ააიპ ინჟინრული აზრის 3D ლაზერული სკანირების განყოფილებისმთავარი სპეციალისტი/Doctoral student - Nikoloz Lekveishvili,Supervisor Prof. - Nino Chachava,Malkhaz Lekveishvili – Director, Architect of NINCLP Engineering Idea; Giorgi Mikadze - the main specialist of 3D laser scanning of NINCLP Engineering Idea.

გასაუბრება აბიტურიენტებთან

2023 წლის 5-23 ივნისს არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე მიმდინარეობდა გასაუბრება აბიტურიენტებთან. გასაუბრების მტავარი კომპონენტია ნახატების და ნახაზების წარმოდგენა. გასაუბრებას 18 ივნისს დაესწრო სტუ-ს რექტორი დავით გურგენიძე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კარლო კოპალიანი, სასწავლო დეპარტემენტის ხელმძღვანელი თამარ წერეთელი სპიკერი ჯემალ გახოკიძე და სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანი ბატონი ოთარ გელაშვილი.

აბიტურიენტი ირინა რამიშვილი, რომელმაც წარმატებით გაიარა გასაუბრება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტი გახდა

აბიტურიენტების მიერ წარმოდგენილი თვითშემოქმედებით შექმნილი ნამუშევრები




სასწავლო - შემეცნებით ვიზიტი უცხოელი პროფესორების და სტუდენტების

2023 წლის 16 ივლისს ფაკულტეტს სასწავლო - შემეცნებითი ვიზიტით ესტუმრნენ კალიფორნიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის და ვილნიუსის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები. კალიფორნიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ედმუნდ სალტჯლისი/Edmund Salilis; Peter Laursen PhD, PE, Full Professor California State Polytechnic University - Cal Poly, College of Architecture and

Environmental Design, Aušra Pelėdienė Director International Relations Office Vilnius Gediminas Technical University – VILNIUS TECH; Jūratė Šliogerienė Assoc Prof Dr Research Fellow Laboratory of Smart Building Systems Vilnius Gediminas Technical University – VILNIUS TECH; Liutauras Nekrošius arch., PhD, Assoc Prof Dean of the faculty of Architecture Vilnius Gediminas Technical University – VILNIUS TECH

ვიზიტი განხორციელდა საერთაშორისო საზაფხულო სკოლის ფარგლებში, მომავალში ჩვენც ჩავერთვებით, მიზანი თბილისის სხვადასხვა პერიოდის არქიტექტურული ობიექტების მონახულება და არქიტექტურული სტუდიის ინჟინრული აზრის მუშაობის თავისებურების, სტუდია „არქიტექტურული პოეტიკის მუშაობის თავისებურების გაცნობაა. ქალაქში მათ დაატვალიერეს ქართული მოდერნიზმის ნიმუშები: ყოფილი გზების სამინისტრო, არქეოლოგიური მუზეუმი, სპორტის სასახლე და ყოფილი პროფკავშირების შენობა. აგრეთვე ფუნიკულიორის ზედა სადგური და ვილნიუსის სკვერი. მეგზურობა გაუწია ფაკულტეტის დეკანმა ნინო იმნაძემ, პროფესორმა ნინო ჩაცავამ და არქიტეტორმა მალხაზ ლეკვეიშვილმა.

2023 წლის 16-20 ოქტომბერი

ფაკულტეტზე სასწავლო-შემეცნებითი ვიზიტით ესტუმრნენ ვილნიუსის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორი დონალდს ტრაუნკასიუსი 17

სტუდენტთან ერთად. ვიზიტის მიზანია საპროექტო წინადადების მომზადება "არქიტექტურა კონტექსტში" თემის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიის შერჩევაზე და დავალების შედგენაზა იმუშავა სტუ-ს არქიტექტურის ფაკულტეტის გუნდმა ნ. იმნაძის ხელმძღვანელობთ "ინჟინრულ აზრთან ერთად მალხაზ ლეკვეიშვილის და ნინო ჩაჩავას აქტიური ჩართულობით და დახმარებით, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა საპროექტო ტერიტორიებზე ვიზიტი: ლონდონის სკვერის და ვერცხლის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიებზე.

არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (UIA)

2023 წლის 16 ნოემბერს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ საქართველოს არქიტექტორთა კავშირის მოწვევით ჩამოსული არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (UIA) ვიცე-პრეზიდენტი
იერჟი გროხულსკი, ასევე პოლონეთის არქიტექტორთა ასოციაციის პრეზიდენტი
აგნეშკა კალინოვსკა და ვიცე-პრეზიდენტი მარეკ ხრობაკი. ვიზიტის მიზანი იყო გაცნობა ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის და სამომავლო თანმშრომლობის განვიტარება სხვადასხვა მიმართულებებით: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ქალაქგეგმარებითი პრობლემები და საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა.

წარმატებული საბაკალავრო დამასრულებებლი პროექტი - ნათია ნოზაძე, ხელმძღვანელი ზაზა სვანაძე

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი სოფოფოლაში
მასშტაბი 1:500
N
მასშტაბი 1:8000
მასშტაბი 1:9000
მასშტაბი 1:9000
ცნობილია თანამედროვეობის ძიებებიდან 150 წლების, ძიებებისა
დღეკერძო ინდივიდი ფაქტის ნებერა. გაოცებიან ფიქრის.
ამიტომ ეფექტია და ასევეთ ძიებებისაკენ. ეკოლაბ
ინფორმაციის ძიებების ასევეეგი ბიფლიან ინფორმაციის ეფექტი
ვნებიდან
ბაზრიდან ხან ძალიან ხელეკ ფიქრა. ეკოლაბი ბიეკ ეს
ძიებებიანი ინფორმაციებია და ნეიტრალურია. ანალიზებზე
ეფექტებიანი ინფორმაციებია და ასევეეგი ეფექტებიანი
ეფექტებიანი ეფექტებიანი ეფექტებიანი.

საგამოფენო დარბაზის გეგმა -4.00 ნიშნულზე
მასშტაბი 1:100
N
ექსპოზიცია
ტიპი 1-1
მასშტაბი 1:50

საგამოფენო დარბაზის გეგმა +10.00 ნიშნულზე
N
ექსპოზიცია

საგამოფენო დარბაზის გეგმა 0.00 ნიშნულზე
N
ექსპოზიცია

საგამოფენო დარბაზის ხეტიალური გეგმა
N
ექსპოზიცია

ნინი დავითაშვილი - ხელმძღვანელი ბესარიონ ტატიშვილი

2023 წლის გამოშვება ფოტო პროექტი: - ბაკალავრიატის დამთავრება

წარმოგიდგენთ კურსდამთავრებულების მიერ გადაღებულ ფოტოებს

ნიკა ადამია, სანდრო პოჩხიძე, ნინო ბეგიაშვილი

მაგისტრატურის დამამთავრებელი დაცვები

თეო გეგეშიძე - "პერიფერიული ქაოტური განაშენიანების მოწესრიგების საკითხები"

მარიამ შვანგირაძე - „საჯარო სკოლა 300 მოსწავლეზე“ ხელმზღვანელი მედეა მელქაძე

სამაგისტრო დაცვები

2023 წლის სადოქტორო დამასრულებელი დისერტაციების დაცვები

ოთარ მჭედლიშვილი, ხელმძღვანელი მარიკა ფოჩხუა



ყოველწლიური სამაგისტრო დამამთავრებელი ნაშრომების დათვალიერება - კონკურსი - 2023 წ.

2022 – 2023 სასწავლო წლის საუკეთესო დამასრულებელი სამაგისტრო ნაშრომები გაიგზავნა არქიტექტორთა კავშირის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ დათვალიერება - კონკრსზე სხვადასხვა ნომინაციებში:

მოცულობითი არქიტექტურა (შენობები და ნაგებობები)

ნიკა კალანდარიშვილი - „თეატრი 550 მაყურებელზე ჭავჭავაძის გამზირზე თბილისში“

ხელმძღვანელი: მერაბ გუჯაბიძე







თეიმურაზ გაბუნია - „თეატრი 2000 მაყურებელზე ქ. თბილისში, სტუდქალაქის ტერიტორიაზე“

ხელმძღვანელი: თეიმურაზ ხოჯავა



იოსებ მათიაშვილი - „საკურორტე კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტი ნაქერალას ქედზე“.

ხელმძღვანელი: ბესარიონ ტატიშვილი



ქალაქთმშენებლობა(გენგეგმები, ქალაქთმშენებლობითი კომპლექსები, ანსამბლები)

თეო გეგეშიძე - პერიფერიული ქაოტური განაშენიანების მოწესრიგების საკითხები

ხელმძრვანელი: მერაბ ბოლქვაძე



არქიტექტურული მემკვიდრეობა რესტავტაცია, რეკონსტრუქცია, რეგენერაცია

ქეთევან მაჭარაშვილი - ძველი ნორიოს განაშენიანების ისტორიული ნაწილის აღდგენა - რევიტალიზაცია

ხელმძღვანელი - ბესარიონ ტატიშვილი

2023 წლის 11 ოქტომბერი

ჟურნალ სტილის საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსი

წელს, არქიტექტურის საერთაშორისო ფესტივლაზე თითქმის ყველა ნომინაციაში წარმოდგენილი იყვნენ სტუ-ს არქიტექტურის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები და

სტუდენტები. არქიტექტურული პროექტი-მარიამ გვაზავა, ლუკა კაციაშვილი; ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი-ირაკლი და ირმა ქამუშაძეები, სტუდენტური პროექტი-გოგიტა მეგრელიშვილი და მარიამ მსხილაძე. ინტერიერი-სტუდია "სამი" ნატალია მანჯგალაძე, ციცი მანაგაძე, თამო მოსიაშვილი და ნიკა შონია, თორნიკე დადიანი; ნომინაცია ქალაქგეგმარება -გამარჯვებული გიორგი სულაბერიძე, ნომინაცია რესტავრაცია-რეკონსტრუქცია-გამარჯვებული შოთა გელაშვილი და ირინა საბაშვილი; ნომინაცია ავეჯი: გამარჯვებული "ნს" სტუდია-ნინი ჭანტურია და ლუკა ჩაგანავა.

International architectural and design awards 2023/ საერთაშორისო არქიტექტურული და დიზაინერული ჯილდო 2023

2023 წლის საერთაშორისო კონკურსში ოქროს გამარჯვებული გახდა სტუდია Artytecs.(კომპანია დაარსდა 2014 წელს. https://www.artytechs.ge/) ნომინაციაში საზოგადოებრივი შენობის კონცეფცია წარადგინეს პროექტი: „თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი აბასტუმანში“. არქიტექტორები სტუ-ს არქიტეტურის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები კონსტანტინე ღვინჯილია და გიორგი კორძაია. თანაავტორები დარეჯან შატაშვილი, მარიამ მსხილაძე, გიორგი ლეჟავა

2021 წელს კომპანიის არქიტექტურული ჯგუფის მიერ შეიქმნა პროექტი სახელწოდებით „ქართული ანბანის ტურისტული ცენტრი“/ "Georgian Alphabet Tourist Centerდაპროექტდა ქარტული ანბანის ფორმის კოტეჯები და გალერეები. ArchFrame Design Awards- ის Hospitality Design კატეგორიის გამარჯვებული გახდა.

https://www.artytechs.ge/georgianalphabet

პირველი დამოუკიდებელი პროექტი

2023 წელს ჩვენი კურსდამთავრებულის თეო კულჯანაშვილის თანაავტორობით მარიკა ჯალაღონიასთან ერთად ქ. რუსთავში აშენდება „სპეციალური საგამომძიებო სამსახურის დეპარტამენტის შენობა. ეს მისი პირველი დამოუკიდებელი ობიექტია.

კურსდამთავრებულის წარმატებული პროექტი: „საბჭოთა პერიოდის სამრეწველო შენობის რენოვაცია“

არქიტექტურულმა კომპანიამ Material Editors, რომლის დამფუძნებელი არის ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებული მარიამ გვაზავა, არქიტექტორ ანა გრიგოლიასთან ერთად დააპროექტეს ქ. თბილისში, ნავთლუღში არსებული საბჭოთა პერიოდის საწარმოს რენოვაცია, რომელშიც გაიხსნა ახალი კერამიკული კომბინატი.



“შენობის პირველ სართულზე იგეგმება საგამოფენო სივრცეებისა და საკონფერენციო ოთახების მოწყობა, მეორე სართულზე კი წიგნების მაღაზია, რესტორანი და დახურული ოფისები განთავსდება. მესამე სართული დაეთმობა საერთო სამუშაო სივრცეს, ე.წ. co-working area-ს. მეოთხე, დაშენებულ სართულზე კი იქნება სამზარეულო, ჰოსტელი, ტერასა და ადმინისტრაციული ოფისები. ამასთანავე, კომბინატს დაემატა კიდევ ერთი შესასვლელი მოსკოვის გამზირიდან და უსაფრთხოების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, დამონტაჟდა ცისფერი სახანძრო კიბეც.



შენობა, სადაც ახლა კომბინატია, 1946 წლამდე “თბილმშენს” ეკუთვნოდა, რომელიც ხის მასალებს აწარმოებდა, ხოლო 1949 წლიდან მან კერამიკული კომბინატის ფუნქცია შეითავსა. შენობა დიდი ხნის მანძილზე მიტოვებული იყო და 2018 წელს ტერიტორია ხანძრის შედეგად თითქმის მთლიანად განადგურდა. იუწყება ინტერნეტ ჟურნალი „Hammok”, ავტორი ტატო ანთაძე.

პროექტი წარდგენილია ჟურნალ სტილის 2023 ყოველწლიურ საერთაშორისო კონკურსზე

კიდევ ერთი წარმატებული ინტერიერის პროექტი: „Cord Brunch & Bar“

ბარის ახალი პროექტი „Cord Brunch & Bar“ ინტერიერის დიზაინის სტუდია „Material Editors“-ის ნამუშევარია. ობიექტი ვერაზე, ჯანაშიასა და ხორავას ქუჩების კვეთაზე მდებარეობს და მისი საერთო ფართობი 50 მ²-ია. პროექტის სესახებ დეტალები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

https://www.homeis.ge/ekleqturi-bari-material-editors/?fbclid=IwAR0nWctuPS8ORD2vijSULStWzi83HlIPvzbGnqPUkbBYfaOICTufpoxt-94



გაიცანით: წარმატებული კურსდამთავრებული ნიკა კალანდარიშვილი

ფაკულტეტის კურსდამთავრებული ნიკა კალანდარიშვილი გახდა კომპანია „აკუსტიკოს“ არქიტექტორი. მანამდე მან კომპანიაში გაიარა სტაჟირება.

2023 წელს მის მიერ შესრულებული სამაგისტრო დამამთავრებელი ნაშრომი: „თეატრი ჭავჭავაძის გამზირზე“ აღინიშნა საუკეთესოდ. (ხელმძღვანელი მერაბ გუჯაბიძე).

პროექტის სრულად ნახვა შეგიძლიათ ლინკზე:

https://www.behance.net/gallery/177621411/Theatre



ინტერვიუები არქიტექტორებთან

რას წერენ ქართული გამოცემები ქართული არქიტექტურის დღევანდელობაზე და არქიტექტორებზე

2023 წელს ელექტრონულმა ჟურნალმა Home.ge გამოაქვეყნა არაერთი საინტერესო ინტერვიუ არქიტექტორებთან, რომლებმაც არქიტექტურული განათლება სხვადასხვა წელს მიიღეს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე.

წარმოგიდგენთ ლინკებს. თქვენ შეძლებთ გაეცნოთ საინტერესო ინტერვიუებს არქიტქეტურის რაობის და არსისი შესახებ. ასევე არქიტექტორების, მათ მიერ დაფუძნებული სტუდიების შემოქმედებით მოღვაწეობას, რეალიზაციებს და პროექტებს.

აღსანიშნავია, რომ Home.ge არის ერთერთი პროფესიონალური ვებპლატფორმა, რომელიც აშუქებს ქართული არქიტექტურის დღევანდელობას.

არქიტექტურის და ინტერიერის დიზაინის სტუდია SAMI (Sustainable Architecture Modern Interior) /„სამი“

ვრცლად სტუდიის დამფუძნებლების შესახებ შეგიძლიათ გაეცნოთ ელექტრონულ ჟურნალ „Home.ge

(https://www.homeis.ge/sami/?fbclid=IwAR1Zsj7DuChM3VbMeymURspKkG-juTjra8zJYW8hVQFnTzLJbNLoD88sinU)

სტუდიის დამფუძნებლები არქიტექტორები თამარ მოსიაშვილი, ქეთევან მანაგაძე და ნატალია მანჯგალაძე სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები არიან. „SAMI_“-ის ხელწერა: ყველა ნამუშევარი ინდივიდუალურია და ერთმანეთს არ ჰგავს. მათ მიერ შესრულებულია არა ერთი საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი: სასტუმრო, ოფისი, რესტორანი. ასევე საცხოვრებლებლების ინტერიერები.

„სამყაროს მთლიანობის განცდითა და ბუნებრივ გარემოზე ზრუნვით შსექმნილი არქიტექტურა - ინტერვიუ ნოდარ კვანჭიანთან“

ელექტრონულმა ჟურნალმა Homeis. ge გამოაქვეყნა ინტერვიუ არქიტეტური, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის კურსდამავრებულთან არქიტექტორ ნოდარ კვანჭიანთან.

https://www.homeis.ge/interviu-nodar-kvantchianthan/?fbclid=IwAR10txRZstBCkqq674GikzajFgZpCm_hhIHFbUb3lwqEP8Lm6Fve1U0A8EE

ნოდარ კვანჭიანმა სალომე გუგუნავასთან ერთად დააფუძნა სტუდია „Altertopos“,

„არქიტექტურა, როგორც მამოძრავებელი ძალა - ინტერვიუ ლიკა ფაკჯიკიძესთან

ელექტრონულმა ჟურნალმა Homeis. ge გამოაქვეყნა ინტერვიუ არქიტექტორ ლიკა ფანჯიკიძის. იგი არის სტუ-ს არქიტეტურის ფაკულტეტის კურსდამთავრებული.

https://www.homeis.ge/lika-phanjikidzis-interviu/?fbclid=IwAR370zKiGVQlDBmL2sHpbndFovPuu64JDK0jmYiTICORpDyiLVqed-V0Coo

„არქიტექტურა, როგორც სილამაზის, ლოგიკის და ინჟინრული აზროვნების შედეგი - ინტერვიუ ნინო იმნაძესთან

https://www.homeis.ge/interviu-nino-imnadzesthan/?fbclid=IwAR24nH0bYeRIhVim8nDOaY-iboWEM2wNUngPaGo-5KBXykq0kUjRg4mhigM

„შემოქმედებითი იდეისა და შინაგანი მუხტის ძალით შექმნილი არქიტექტურა - ინტერვიუ მერაბ გუჯეჯიანთან.“

https://www.homeis.ge/merab-gujejiani/

„ოფისის სამზარეულო და მოსასვენებელი ზონა ფერადი აქცენტებით – თორნიკე ჭიკაძისა და ნიკიტა ტიმოშენკოს ნამუშევარი“

https://www.homeis.ge/ophisi-office-pros/?fbclid=IwAR3nhJupICz2aU7xXModGvfFu0V6nRGlZaMP5b8jeMp_UYbidgYtXJ6G6Ig

ნიკიტა ტიმოშენკო და თორნიკე ჭიკაძე

არქიტექტურა, როგორც გაერთიანების შესაძლებლობა — ინტერვიუ დიმიტრი შაფაქიძესთან

https://www.homeis.ge/dimitri-shaphaqidze/?fbclid=IwAR0pfrCUyRFHxsFqM5cVT0H_vGILWRZgEiTVwTxtsMcrb0tMyrrNUm8WssQ

ცხოვრების სტილად ქცეული არქიტექტურა – ინტერვიუ გიორგი ვარდანაშვილთან

მიუხედავათ იმისა, რო გიორგი ვარდანაშვილმა დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია ბაკალავრიატი და მაგისტრატურა, დღეს იგი გახლავთ სტუ-ს არქიტეტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დოქტორანტი.

https://www.homeis.ge/giorgi-vardanashvili/?fbclid=IwAR2wWKEmG6fdnYGMRQOc5oD8vzo19MOMZ5s8lwwMkHfcSZaN4tuaTGnTWc8

არქიტექტურა, როგორც გაერთიანების შესაძლებლობა — ინტერვიუ დიმიტრი შაფაქიძესთან

https://www.homeis.ge/dimitri-shaphaqidze/?fbclid=IwAR3u5Q67PSv8r9RRkQaQvyq_vkaXmpZygD9stuE8wB16BE_pSwFC4F5cb3M

არქიტექტურის პოეტიკა — ინტერვიუ დავით ბოსტანაშვილთან

https://www.homeis.ge/davith-bostanashvili/

ფოტოგრაფია არქიტექტურაში - თეო კესერელის ფოტოკოლაჟები

ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა თეო კესერელმა შექმნა ფოტო სერია, რომელიც მიეძღვნა ქ. ქუთაისში შრომის დიდიების მემორიალს. ავტორები: ვახტანგ დავითაია და შოთა ბოსტანაშვილი.



რეალიზებული არქიტექტურული პროექტი ფაკულტეტის პედაგოგეგბის მიერ

ქობულიები და პარტნიორები

კომპანიის დამფუძნებლები არიან სტუ-ს კურსდამთავრებულები და საქართველოს დამსახურებული არქიტექტორები ვასილ და გივი ქობულიები.

2023 წლის მიმდინარე რეალიზაცია მცირე მოცულობის საზოგადოებრივი ნაგებობა: სანაპიროს კაფე, შეკვეთილში/Beach Cafe, location: Shekvetili, Georgia



ქართული სასტუმრო Glarros OldTown-ი Archello Awards-ის ნომინანტებს შორის მოხვდა

https://bm.ge/news/qartuli-sastumro-glarros-oldtown-i-archello-awards-is-nominantebs-shoris

„თბილისში, კოტე აფხაზის 15 ნომერში მდებარე სასტუმრო Glarros OldTown-ი პრესტიჟული არქიტექტურული ჯილდოს, Archello Awards-ის 2023 წლის "სასტუმროს ტიპის საუკეთესო შენობის" კონკურსის გრძელ სიაში მოხვდა. როგორც Archello Awards-ის ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ, კონკურსში ათასზე მეტი განაცხადი შევიდა, რომლიდანაც თერთმეტი ქვეყნის წარმომადგენელი თხუთმეტი ფინალისტი შეირჩა და ერთ-ერთი მათგანი - თბილისური სასტუმრო აღმოჩნდა. Glarros OldTown-ი ერთადერთი ქართული სასტუმროა, რომელიც ამ კონკურსში მონაწილეობს.

Archello Awards-ის ოფიციალურ ვებგვერდზე Glarros OldTown-ის აღწერასაც ვკითხულობთ, რომლის თქმით, სასტუმრო ძველი თბილისის ისტორიულ ნაწილში მდებარეობს, სადაც, ისტორიულად, მნიშვნელოვანი სავაჭრო ქარავნები მოძრაობდნენ. ამავდროულად, ექსპერტების შეფასებით, ეს სასტუმრო, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ ისტორიულ სატრანსპორტო არტერიაზე ძევს, მნიშვნელოვანია მისი სოციალური მნიშვნელობითაც, რადგან ადრე, აქ ეთნიკურად, რელიგიურად და კულტურულად მრავალფეროვანი სოციალური შეკრებები იმართებოდა. Archello Awards-ის გუნდის შეფასებით, Glarros OldTown-ის თანამედროვე არქიტექტურული დიზაინი ქალაქის სიძველის შეგრძნებას ინარჩუნებს.

Glarros OldTown-ის პროექტზე არქიტექტურულმა კომპანია Laboratory of Architecture #3-მა იმუშავა.“ არქიტექტურული კომპანიის Laboratory of Architecture #3 დამფუძნებელები არიან ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულები: ირაკლი აბაშიძე და დიმიტრი შაფაქიძე.

სივრცითი ფორუმი საქართველო 2023

2023 წლის 25-28 აპრილს საქართველოში ჩატარდა პირველი სივრცითი ფორუმი, რომლის მიზასაქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმის დავალების პროექტის განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება.

აღნიშნულ ფორუმში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ფაკულტეტის აკადემიურმა და მოწვეულმა პროფესორებმა მერაბ ბოლქვაძემ, ვლადიმერ ვარდოსანიძემ, ნინო ცხეიძემ და გიორგი ყიფიანმა.

ფაკულტეტის დღე

2023 წლის 22 დეკემბერს პირველად ფაკულტეტის ისტორიაში გაიმართა ფაკულტეტის დღე.

ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას - სტუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ფაკულტეტების დეკანებს, სტუდენტებსა და მოწვეულ სტუმრებს, მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ.

როგორც სტუ-ის რექტორმა განაცხადა, არქიტექტურის მიმართულება, სამშენებლო ფაკულტეტის ერთ-ერთი სპეციალობის სახით, 1922 წელს, რეგიონში ტექნიკური აზროვნების დიდ ფლაგმანთან - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად შეიქმნა. ფაკულტეტი 102 წლისაა, სადაც მრავალი სასახელო თაობა აღიზარდა. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები წარმატებით მოღვაწეობენ, როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი თითქმის 102 წლისაა. დაარსებიდან დღემდე არქიტექტურა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, სადაც სწავლა-სწავლებას, რამენიმე წელია, სახელმწიფო აფინანსებს. სასიხარულოა, რომ არქიტექტურით დაინტერესებული არაჩვეულებრივი თაობა მოდის, რომელთაც, ფაკულტეტზე მოღვაწე მაღალკვალიფიციური პედაგოგებისგან იციან, რომ არქიტექტურა მხოლოდ პროექტირება არ არის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებს მრავალმხრივ განათლებას აძლევს. ფაკულტეტზე სხვადასხვა საფეხურზე ხორციელდება შვიდი საგანმანათლებლო პროგრამა: საბაკალავრო პროგრამა - "არქიტექტურა", რუსულენოვანი საბაკალავრო პროგრამა - "არქიტექტურა" და საბაკალავრო პროგრამა - "მოდის დიზაინის ტექნოლოგიები", რომელიც 2017 წლიდანხორციელდება და მიუხედავად, არსებობს 6 წელს მოიცავს, უკვე დამკვიდრებული აქვს სახელი. ასევე, სამაგისტრო საფეხურზე ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამა - "არქიტექტურა", სადოქტორო საფეხურზე საგანმანათლებლო პროგრამები: "არქიტექტურა" და "არქიტექტურათმცოდნეობა". სტუდენტებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ საფუძვლიანად დაეუფლონ სპეციალობას და წარმატებულნი იყვნენ. მათ ეს მოცემულობა კარგად აქვთ გააზრებული, სწორედ ამიტომაა, რომ დასაქმების პრობლემა არ აქვთ. კიდევ ერთხელ გილოცავთ ფაკულტეტის დღეს, გისურვებთ წინსვლას“, - აღნიშნა თავის გამოსვლაში დავით გურგენიძემ.

სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ნინო იმნაძემ მადლობა გადაუხადა რექტორს უნივერსიტეტში „ფაკულტეტის დღის“ დაარსებისა და იმ მხარდაჭერისთვის, რასაც დავით გურგენიძე თითოეული ფაკულტეტის, მეცნიერისა და სტუდენტის მიმართ იჩენს.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის ინიციატივით, შესანიშნავ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. ჩვენი კურსდამთავრებულები თუ ფაკულტეტზე მოღვაწე გამოჩენილი არქიტექტორები, უკვე 102 წელია, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა დროს ახორციელებდნენ და ახორციელებენ საინტერესო პროექტებს. ჩემთვის, როგორც დეკანისთვის, სასიხარულოა, რომ ჩვენი ფაკულტეტის გამორჩეული სკოლის ტრადიციას ახალგაზრდები წარმატებით და ღირსეულად აგრძელებენ. გილოცავთ ფაკულტეტის დღეს და კიდევ ერთხელ მადლობას მოვახსენებ რექტორს, უნივერსიტეტში ამ შესანიშნავი ღონისძიების დაწესებისათვის“, - განაცხადა ნინო იმნაძემ.

რექტორმა, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ სტუ-ის საპატიო დიპლომი გადასცა არქიტექტორს, მეცნიერს, პედაგოგს, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს ვახტანგ დავითაიას. ასევე, პროფესორებს: გია ნაცვლიშვილს და ლევან ბერიძეს. ფაკულტეტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის მადლობის სიგელები გადაეცათ: საქართველოს არქიტექტორთა კავშირს, საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციას, საქართველოს კალიგრაფთა ასოციაციას და რეჟისორი ბექა ავარსკის. ასევე, მოწვეული პროფესორებს, პრაქტიკოს არქიტექტორებს: გია ნადირაძეს, თეიმურაზ ხოჯავას, ვასილ ქობულიას, თენგიზ გოგოლაშვილს, მერაბ გაგნიძეს, ბესარიონ ტატიშვილს, ზაზა სვანაძეს, გიორგი კვიწინაშვილს, თამაზ დოგრაშვილს, გიორგი ყიფიანს და გიული გეგლიას ფაკულტეტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. გიორგი დოლიძეს - სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტური სერვისების ცენტრის ხელმძღვანელს და სტუდენტებს.

ღონისძიების დასასრულს, არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები დამსწრე საზოგადოების წინაშე თვითშემოქმედებით წარსდგნენ.

ფაკულტეტის დღესთან დაკავშირებით არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირმა მოუმზადა ფილმი. რეჟისორი - ბექა ავარსკი

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი